# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 13 აგვისტო 2008 №186 (3410) ფასი 50 თეთრი

# რუსეთი: ფაშიზმი ფაშიზმამდე და ფაშიზმის შემდეგ



# ბესლანში ოსი ბავშვების მკვლელები გენოციდში გვადანაშაულებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვინდა ქართველებს სახელმწიფო? ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად!




რამდენიმე თვეში „სარბიელი“ 18 წლის გახდება და ამ ხნის განმავლობაში პირველად ჩავარდა გაზეთის ნომერი. კი, გასული საუკუნის 90-იანებში „სარბიელი“ ერთი ხანობა საერთოდ არ გამოდიოდა, მაგრამ ეს სამოქალაქო ომის დროს იყო და მას მერე ერთდღიანი ჩაგდებაც არ გვქონია.

გუშინდელი „სარბიელი“ ჩავარდა.

ახლა სხვა ამბავია, ადრე სხვანაირი იყო...

ბებია მიყვებოდა ხოლმე 1921 წლის ამბებს, როგორ შემოვიდა საქართველოში რუსეთის მე-11 წითელი არმია და როგორ ანუგეშებდა ბათუმის მატარებლიდან თავგადმოყოფილი ნოე ჟორდანია ხალხს, ნუ გეშინიათ, მალე დავბრუნდებითო. თქვენი მტერი დაბრუნდა ისე.

მაგრამ ეს მონაყოლი ჩემთვის ზღაპრივით უფრო იყო.

ამ დღეებში კი სულ სხვა რამ ხდება ჩვენი თაობისთვის, უფრო სწორად კი, ჩვენი თაობებისთვის.

რა ხდება, ამას არ მოვყვები, ყველამ ერთნაირად, ან თითქმის ერთნაირად ვიცით ეს ამბები.

მოკლედ, იმაზე მოგახსენებდით, რომ გუშინდელი „სარბიელი“ ჩავარდა, ვერ დაიბეჭდა. გუშინწინ საღამოს, როცა გუშინდელ გაზეთს ვამზადებდით, ათასი ცუდი რამ ითქვა. ერთი ახლობელი გვირეკავდა და გვეუბნებოდა, რუსის ჯარი ნატახტართან არისო. ზოგიერთ სატელეფონო ზარს ოკუპანტები უფრო ახლოს — შიგ დედაქალაქში, დიღომში ჰყავდა შემოყვანილი.

რა უნდა თბილისში ამბის გადამოწმებას, ისეთი ვინ არის, ყველა უბანში ახლობელი რომ არ ჰყავდეს და იმ ახლობლებმა ეს ცნობებიც გაგვიქარწყლეს — თბილისში ოკუპანტები არ შემოსულან.

მაგრამ ჭორს, მით უმეტეს თუ ის შიშს ეფუძნება, დიდი გასავალი აქვს. ამ შიშის ბრალი იყო, მთელი საღამო რედაქციაში ოჯახის წევრები რომ გვირეკავდნენ და სახლში დროულად დაბრუნებას გვთხოვდნენ. ძნელია ამგვარ ვითარებაში მუშაობა, მაგრამ ვიმუშავეთ.

ოჯახის წევრები სტამბის მუშებსაც ურეკავდნენ და როცა დასაბეჭდად გამზადებული გვერდები სტამბაში მივიტანეთ, უკვე დაკეტილი დაგვხვდა. სააგენტოებმაც, გავრცელება რომ ევალებათ, ჯიხურების დიდი ნაწილი დახურეს...

იმ ღამეს სახლში მიმავალს, ვაკე-საბურთალოს გზა ჩახერგილი დამხვდა, მძღოლები ორ-ორ რიგად იდგნენ ავტოგასამართ სადგურებთან. ხოლო მაღაზიებიდან ხალხს კარტოფილი მიჰქონდა. მაქსიმუმ, ათ-ათი კილო. ისე, რამდენი ხანი უნდა ეყოს ოჯახს ათი კილო კარტოფილი? სამი დღე? ოთხი?

ჩემს 16 წლის ვაჟს გუშინწინ ღამე მეგობარმა სკაიპით მესიჯი გამოუგზავნა. მეგობარი, ძალიან კარგი, პატრიოტი ბიჭი, წერდა, ხვალ 3 საათზე დაგეგმილ მიტინგზე არ წახვიდე, ხაფანგია, რუსები სწორედ ამ დროს დაბომბავენ მთავრობის სახლსო.

მეგობრის მეუღლეც უზომოდ შეშინებული იყო: სამეზობლოში ვილაცამ თქვა, წუთი-წუთზე თავდაცვის სამინისტროს დაბომბავს რუსული ავიაციაო, ის მეგობარი კი სწორედ თავდაცვის სამინისტროს შენობის ახლოს ცხოვრობს.

ასეთი ცნობა ბევრი გავრცელდა.

რას ემსახურება ეს ცნობები? როგორ წარმოგიდგენიათ, როგორ შეეძლო გაეგო ჩემი შვილის მეგობარს მიტინგის დროს აპირებდა თუ არა რუსული ავიაცია მთავრობის სახლის დაბომბვას? ან საიდან გაიგო ჩემი მეგობრის მეუღლის კეთილისმსურველმა რომ წუთი-წუთზე რომელიღაც რუს მფრინავს თავდაცვის სამინისტრო უნდა აეფეთქებინა? დეპეშა გამოუგზავნა წინასწარ? უეჭველია, რომ ამგვარი ხმების გავრცელებას ერთადერთი მიზანი შეიძლება ჰქონდეს — საყოველთაო პანიკა, მასობრივი ფსიქოზი, ერის ბრბოდ ქცევა, მერე კი, ისეირნე რუსის ჩექმავ ქართულ მიწაზე...

რუსი... არა, რუსი მოხელე, კრემლის მესვეური... და იქ, კრემლში ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს. კრემლის ყველაზე დიდი ავი სული ხომ ქართველი სტალინი იყო, ახლანდელი მეპატრონეები მასთან ახლოსაც ვერ მივლენ.

ამ დღეებში არაერთხელ მსმენია მესამე მსოფლიო ომის დაწყების საშიშროებაზე. იმ კონტექსტში ახსენებენ-ხოლმე, რომ აბა, მსოფლიო რუსეთს როგორ დაუწყებს ომს, რომელიც მესამე მსოფლიო იქნებაო. მაგრამ ესეც ვთქვათ, რომ ომი ცივიც არსებობს და სწორედ იმ ცივმა ომმა დაშალა საბჭოთა კავშირი და არა საქართველოს წინა პრეზიდენტმა, რაშიც თავად გულმოდგინედ გვარწმუნებდა. ომის დამწყები კი... მგონია, რომ ტყუიან ისტორიის სახელმძღვანელობი, მეორე მსოფლიო ომის დამწყებად გერმანიას რომ თვლიან. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ჩრდილოდასავლეთ ჩეხეთის ის ადგილები სადაც პირველი თავდაცვითი ნაგებობები აშენდა 1939 წლის შემოდგომაზე, მაგრამ ვინ თქვა, რომ ომი თოფის პირველი გასროლისას იწყება? ვინ თქვა, რომ 1941 წლის 21 ივნისს ფაშისტური გერმანია მოულოდნელად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს? მოულოდნელადო? იმ დღეს, 1941 წლის 21 ივნისს რადიოში პირველად გაისმა „იძოტ ვაინა ნაროდნაია, სვეშჩენნაია ვაინა“. ეს თავისთავად დიდებული სიმღერაა, მაგრამ თურმე, მისი ტექსტი და მუსიკა დაიწერა, სამასკაციანმა გუნდმა იმღერა და სიმფონიურმა ორკესტრმა დაუკრა, ომის დაწყებიდან რამდენიმე საათში!!! ეს იმას ჰგავს, რუსი გენერლის გაცემული ბრძანება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფეთქების თაობაზე, პლეხანოველმა მოქალაქემ ბრძანების გაცემიდან რამდენიმე წუთში რომ შეიტყო. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თავდაცვის სამინისტრო არ აფეთქებულა, სიმღერა კი მართლა გაისმა რადიოში, ანუ ის სიმღერა, საბჭოთა ხალხს ფაშისტებთან ბრძოლისკენ რომ მოუწოდებდა, ფაშისტური გერმანიის „მოულოდნელ“ თავდასხმამდე ადრე იყო დაწერილი.

ან ეს: 41-ის ივნისში გერმანიას დაახლოებით 3 ათასი ტანკი ჰყავდა, საბჭოთა კავშირს შვიდჯერ მეტი...

მოკლედ, იმის თქმას ვლამობ, რომ ომი საბჭოთა კავშირმა დაიწყო გერმანიის პროვოკაციაზე წამოგებით. თუმცა ისე რომ არ გამოვიდეს, თითქოს ნაცისტურ გერმანიას ვიცავდე და ვამართლებდე, სხვა ომსაც გავიხსენებ — რუსეთ-ფინეთისას, სხვაგვარად, ზამთრის ომის, რომელიც ბოლო დროს არაერთხელ ახსენეს იმის ნიმუშად, თუ როგორ შეიძლება პატარა ქვეყანა გაუმკლავდეს რუს დამპყრობელს.

თუ წინარე ფაქტები პატიოსანი რუსი სამხედრო ისტორიკოსის ვიქტორ სუვოროვის წიგნებიდანაა, რუსეთ-ფინეთის ომის რიცხვები უფრო იოლად მოსაძებნი წყაროდან, ვიკიპედიიდან გახლავთ. მაშ ასე: ომი მიმდინარეობდა 1939 წლის 19 ნოემბრიდან, 1940 წლის 13 მარტამდე. ფინურ არმიას მეთაურობდა კარლ გუსტავ ემილ მანერჰეიმი, რუსებისას — ვოროშილოვი და ტიმოშენკო. ფინელებს ჰყავდათ 39 ტანკი, რუსებს 6 ათასი. ფინელებს დაეღუპათ 26 ათასი მეომარი, რუსებს 126 ათასი.

არ ვიცი, რამდენად ზუსტია ვიკიპედია, მაგრამ მგონია, რომ ზუსტი უნდა იყოს და თუ შეცდომებიც არის გაპარული, რეალობას დიდად რომ არ ცვლის, ნაღდია.

ვიკიპედიის გახსენებაზე — ეს რომ რუსული საიტი ყოფილიყო, ხაკერული მეთოდებით მომიწევდა იქ შესვლა, რუსული საიტები კი საქართველოს მოქალაქეებისთვის დახურულია. თუნდაც ყველაზე პოპულარული საიტი ყოფილ საბჭოეთში — ოდნოკლასნიკი.რუ. რუსეთის საქართველოში შემოჭრის პირველ დღეს საიტის მომხმარებელმა ათასობით ქართველმა თავის პერსონალურ გვერდზე საკუთარი პორტრეტის ნაცვლად საქართველოს დროშა დადო. ეს იყო აქცია, პროტესტი, ის მინიმუმი, რაც ქართველ ინტერნეტ-მომხმარებელს შეეძლო გაეკეთებინა. და მაშინვე ამოქმედდა რუსული მანქანა. დაუყოვნებლით დაიწყო ქართული დროშების დაბლოკვა. ერთ მოსკოველ ქართველს კი, თავად მომიყვა, დროშის დაბლოკვის მიზეზად ასეთი შეტყობინება მიუვიდა: შეურაცხყოფას აყენებს სხვა მომხმარებელთა გრძნობებსო...

გამოსავალი? არ ვიცი. მაგრამ ვიცი, რომ ერს, რომელსაც ნორმალური სახელმწიფოს აშენება სურს, სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი უნდა გააჩნდეს.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარცხი იქა, მარცხი აქა

## სომხებმა ორი ქართული დაასრულეს



ლაშა გოგიტაძის და რომან ამოიანის ბრძოლა

**გუშინ** პეკინის ოლიმპიადაზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ჩაებნენ. სამწუხაროდ, ჩვენთვის სანუგეშო არაფერი მომხდარა.

ლაშა გოგიტიძემ (55კგ) და დავით ბედინაძემ (60კგ) მედლებისთვის ვერ იბრძოლეს.

ლაშამ ჩინელ ჰუაფენგ იაოს კი მოუგო, მაგრამ მერე ევროპის ჩემპიონ სომეხ რომან ამოიანთან დამარცხდა. თავის მხრივ, სომეხიც მალევე გამოეთიშა ტურნირს და გოგიტაძეს რეპეშაჟში ჩართვის საშუალება არ მისცა.

იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა მსოფლიოს ჩემპიონი დავით ბედინაძე. წაგების შემდეგ ბულგარეთის სახელით მოჭიდავე სომეხმა არმენ ნაზარიანმა მას ბრინჯაოს შანსიც მოუსპო. ნაზარიანს ორ-ორჯერ აქვს მოგებული ოლიმპიადა, მსოფლიოს ჩემპიონატი და ძალიან გამოცდილია.

ასე რომ, ბედინაძეს ოლიმპიადაზე მხოლოდ ერთხელ მოუწია ხალიჩაზე გასვლა.

დღეს „ანტიკოსებიდან“ კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია იჭიდავებს.

**ნიკა ძოძაძე**




არსენ კასაბიევი

# ოღონდ ხელი არ აგვიკანკალდეს

## ხათუნა ნარიმანიძემ მეოთხედფინალს დაუმიზნა

## ქრისტინე ესებუას ცხრიანი არ ეყო



ხათუნა ნარიმანიძე

**ქართველმა** მშვილდოსნებმა, ხათუნა ნარიმანიძემ და ქრისტინე ესებუამ 70 მეტრიდან ინდივიდუალურ შეჯიბრში მოსინჯეს ძალები და კარგადაც ისროლეს.

ესებუას მერვედფინალში გასასვლელად ძალიან ცოტა დააკლდა. სამაგიეროდ, ნარიმანიძემ მიაღწია მიზანს და თან საკმაოდ დამაჯერებლად.

საკვალიფიკაციო სროლების შემდეგ, როგორც იცით, ნარიმანიძე მხოლოდ სამხრეთკორეელ სპორტსმენებს ჩამორჩა, რომლებიც მთავარ ფავორიტებად განიხილებიან მედლებისთვის ბრძოლაში და მე-4 ადგილი დაიკავა. ესებუა კი მე-17 იყო.

კვალიფიკაციაში მაღალი ადგილი შედარებით სუსტ მშვილდოსანთან დაპირისპირების საშუალებას გაძლევს და ასეც მოხდა. ნარიმანიძემ დიდი უპირატესობით მოუგო ოცდამეთორმეტედფინალში ბუტანელ დარჯი დემას — 107:97. პირველი სროლა 6-იანში კი გაარტყა მაგრამ მერე ძალიან ზუსტი იყო. სულ ორივე მშვილდოსანი 12 ისარს ისვრის და ჯამური შედეგების მიხედვით გადის მომდევნო ეტაპზე. იგივე პრინციპია ფინალის ჩათვლით. თუ ისე მოხდა, რომ ქულები თანაბარია, დამატებით თითო-თითოს ისვრიან და გამარჯვებულიც ასე გამოვლინდება, ოღონდ ნარიმანიძეს ეს არ დასჭირდა, მომდევნო მეტოქეს ვენესუელელ ბრიტო მილაგროს უფრო დიდი სხვაობით, 111:98 მოუგო და მერვედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე კვალიფიკაციაში მე-20 ნომრად განთესილი 15 წლის მექსიკელი მარიანა ავიტია. ავიტიამ მე-13 ნომერს პოლონელ სვენციკს დაძაბულ პაექრობაში მოუგო 110:109.

თქმა არ უნდა, ნარიმანიძე მექსიკელზე ბევრად გამოცდილია და კარგი შანსიც აქვს, მეოთხედფინალში გავიდეს, იქ კი ჩრდილოეთკორეელ კვონსა და მექსიკელ აიდა რომას შორის გამარჯვებულს გაეჯიბრება. გამოდის, რომ კვალიფიკაციაში მიღებული მე-4 ადგილით ნარიმანიძემ ბადე საგრძნობლად გაიიოლა და მშვენიერი შესაძლებლობა აქვს, ნახევარფინალში გავიდეს. მით უმეტეს, მთავარ კონკურენტ სამხრეთკორეელებს არ ხვდება...

ქრისტინე ესებუამ პირველი მეტოქე დაამარცხა, პოლონელ იუკი ჰაიშის მოუგო, ოღონდ გვარიანადაც ინერვიულა, ძირითადი სროლები ფრედ, 102:102 დამთავრდა. დამატებითში ჰაიაშიმ 8-იან გაარტყა, ესებუამ კი 9-იან და ასე მოიგო.

საინტერესოა, რომ მომდევნო მეტოქესთან ბერძენ ელპიდა რომანტცთანაც 102:102 შედეგი დაფიქსირდა. აქ დამატებითში ესებუამ კვლავ 9-იანი ამოილო მიზანში, რომანტცმა კი 10-იან გაარტყა და მერვედფინალში გავიდა.

ხათუნა ნარიმანიძე კი მედლისთვის ბრძოლას ხვალ გააგრძელებს და, როგორც ვთქვით, 15 წლის მექსიკელ მარიანა ავიტიას შეხვდება.

**ნიკა ძოძაძე**

# სამხრეთოსეთელი ძალოსანი შეშფოთებულია კონფლიქტით

**ძნელია** ოლიმპიადაზე ფოკუსირება, როდესაც შინაგანი ძალა შინისკენ გეწევა. ასეთ სიტუაციაშია არსენ კასაბიევი, იმ ორი ქართველი ძალოსნიდან ერთ-ერთი, რომელიც წარმოშობით სამხრეთ ოსეთიდანა. 94-კილოგრამიანი ღონიერი კაცი შინ ყოველდღე ურეკავს მშობლებს და ასე იმშვიდებს თავს, რომ ისინი უსაფრთხოდ გამოერიდნენ ჰაერიდან დაბომბილ პროვინციის დედაქალაქ ცხინვალს.

„ჩემთვის ეს დიდი ტრაგედიაა“ — ამბობს 20 წლის კასაბიევი ასოშიეიტედ პრესსთან ინტერვიუში ორშაბათის ვარჯიშის შემდეგ. მან თქვა, რომ მისი ოჯახი კარგადაა, მაგრამ სახლის ნგრევაზე ფიქრი კონცენტრირებაში ხელს უშლის.

„მე არაფერი ვიცი პოლიტიკაზე“ — ამბობს ის დამტვრეული ინგლისურით — მაგრამ ვიცი ერთი რამე: ომი ძალიან ცუდია ხალხისთვის. ომში პოლიტიკოსები კი არა ხალხი კვდება. ეს ძალიან ცუდია.“

დაახლოებით სამი დუჟინი ქართველი ოლიმპიელი ელის სიახლეებს სამშობლოდან, სადაც საქართველოს და რუსეთის ძალები ერთმანეთს ებრძვიან სეპარატისტულ პროვინციაში, რომელიც საქართველოს კონტროლიდან 1992 წელს გამოვიდა.

კასაბიევი, რომლის სალაპარაკო ენა არის რუსული და ალბერტ კუზილოვი არიან სპორტსმენები სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს ოლიმპიურ გუნდში. საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დატოვოს გუნდი ოლიმპიადაზე, მაგრამ ეს სხვაგვარადაც რომ ყოფილიყო, კასაბიევმა თქვა, რომ ის არ დატოვებდა ოლიმპიადას.

„თუ საქართველოს გუნდი სახლში წავა, მე არ წავალ, იმიტომ, რომ ეს ოლიმპიური თამაშებია — ამბობს კასაბიევი — სპორტი არაა პოლიტიკა ჩემთვის.“

რუსეთმა შეუშვა ტანკები და ქვეითი ჯარი სამხრეთ ოსეთში და საქართველოს ქალაქებში შაბათს, რითაც მოახდინა კონფლიქტის ესკალაცია, სადაც ასეულობით დახოცილი და დაჭრილია. აშშ-ს მხარდამჭერმა საქართველომ პარასკევს წამოიწყო შეტევა პროვინციაზე კონტროლის დასაბრუნებლად. რუსეთმა, რომელიც მჭიდროდ ესაზღვრება პროვინციას და ჰყავდა იქ სამშვიდობოები, ჯარის შესვლით და დაბომბვებით უპასუხა.

კასაბაევი, რომელიც მეორე ოლიმპიადაზე მონაწილეობს, ორშაბათს 180-კილოგრამიან შტანგის აწევით ვარჯიშობდა, კვირას კი ის უნდა გავიდეს 94-კილოგრამამდე წონის შეჯიბრში.

ვარჯიშთა შორის ის ურთიერთობდა რუს და სხვა ძალოსნებთან, რომლებიც დიდ დარბაზში მის გვერდით ვარჯიშობდნენ. „მე მყავს ბევრი მეგობარი რუსეთში, არა მარტო რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც“ — თქვა მან. კასაბიევი ცხოვრობს და ვარჯიშობს პოლონეთში საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელ ივანე გრიქუროვთან ერთად, რომელიც აგრეთვე ცხინვალიდანაა. მწვრთნელი ღელავდა, რომ სამხრეთ ოსეთში გამართული ბრძოლები ახალგაზრდა ათლეტს ფორმიდან ამოაგდებდა. „ის არაა ბოლომდე კონცენტრირებული — ამბობს გრიქუროვი — ეს ძალიან ცუდია.“

არც კასაბიევმა და არც გრიქუროვმა არ ისაუბრეს შეჯიბრზე, თქვეს, რომ ახლა მხოლოდ ვარჯიშზე ფოკუსირდებიან. კასაბიევი 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე მე-14 ადგილზე გავიდა და მე-7 იყო გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**ქარლ რიტერი**

*ასოშიეიტიდ პრესი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# RUSSIA STOP



## რა ქნას სპორტსმენმა, როდესაც ღამეები არ სძინავს იმის ფიქრში, თუ როგორ არიან მისი ნათესავები, ოჯახის წევრები და ახლობლები რუსული ბომბების ბაგა-ბუგში, როდესაც უყურებს მისი ხალხის აცრემლებულ თვალებს, იმ საზიზღარ კადრებს, მსოფლიო ტელეკომპანიები რომ გადმოსცემენ...



კახა
ბერიძე
პეკინიდან
საგანგებოდ
„სარბიელისთვის“

**ოლიმპიურ** თამაშებზე გამოგზავრებამდე არა, როგორ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი პეკინური რეპორტაჟების უმეტესი ნაწილი არა სპორტული, არამედ პოლიტიკური იქნებოდა.

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ჩვენთვის მიმდინარე ოლიმპიადას ის ხიბლი, ლაზათი, ჟრიამული მოაკლდა, რისთვისაც მას მთელი მსოფლიო ოთხი წელი სულმოუთქმელად ელოდება-ხოლმე.

ჯერჯერობით ვერც ქართველი ათლეტები ასპარეზობენ მეტ-ნაკლებად წარმატებულად და ამის მიზეზებიც ნათელია. ენა ვერავის მოუბრუნდება მათზე აუგის სათქმელად და უპირობო გამარჯვებასაც ვერავის მოსთხოვ. როდესაც ღამეები არ გძინავს იმის ფიქრში, თუ როგორ არიან შენი ნათესავები, ოჯახის წევრები და ახლობლები რუსული ბომბების ბაგა-ბუგში, როდესაც უყურებ შენი ხალხის აცრემლებულ თვალებს, იმ საზიზღარ კადრებს, მსოფლიო ტელეკომპანიები რომ გადმოსცემენ, რა ქნას სპორტსმენმა... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი პეკინში ოდენ მოვალეობის მოხდის მიზნით არიან და ერთი სული აქვთ, სამშობლოში როდის დაბრუნდებიან.

ბედის ირონიითაც, ოლიმპიურ სოფელში საქართველოსა და რუსეთის დელეგაციათა საცხოვრებელი კორპუსები გვერდი-გვერდაა, მაგრამ მათთან ჩვენი მხრიდან არანაირი კონტაქტი, მისალმებაც კი არ არის. ისინი კი ცდილობენ კონტაქტში შემოსვლას და რამდენიმე მათგანმა ჩვენს სპორტსმენებს ბოდიშიც მოუხადა ამ ამბების გამო.

ბოდიში რომ საქმეს შველოდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა და სიმართლე ითქვას, უკვე ადამიანურადაც ძნელია მათი მობოდიშების მიღება-გაგება, თუნდაც ის მართლაც გულწრფელი მწუხარების გამოხატვა იყოს. ქართველი სპორტსმენები წყობრიდან არიან გამოსული და მათ სახეზე არა გამარჯვებისკენ ლტოლვა და ბრძოლის ჟინი, არამედ სევდა იკითხება.

# BOMBING!

„სპორტსმენი ვარ და ვიცი მარცხით გამოწვეული სევდა რაც არის, მაგრამ ეხლა ყველაზე მეტად ჩემი ქვეყანა მტკივა და განვიცდი“ — ეს ზაზა კედელაშვილის სიტყვებია, რომელიც პეკინში ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო.

ვინც სპორტსმენი არ არის, ის ვერ გაიგებს თუ რა ოფლი დაიღვარა, რა ტიტანური შრომა იქნა გაწეული ოთხი წლის განმავლობაში, როგორი მოლოდინით და იმედებით ეგებებიან მსოფლიო მასშტაბის უგრანდიოზულეს სპორტულ ფორუმს და უცებ, ყველაფერი ერთ წუთში საპნის ბუშტივით სკდება.

ნინო სალუქვაძის და რუსი ნატალია პადერინას ფოტოებმა მსოფლიოს არაერთი სააგენტოს ვებგვერდები მოიარა. ჩინურმა ტელეარხებმა ამ თემას არაერთი სიუჟეტი მიუძღვნეს, გულგრილი არც სხვა ქვეყნის ტელევიზიები ყოფილა, ხოლო ადგილობრივმა ინგლისურენოვანმა გამოცემა CHINA DAILY-მ საკმაოდ ვრცელი მასალა მიუძღვნა სათაურით: „მათი მეგობრობა მაინც ურყევია“.

„ჩემთვის სასიამოვნო იყო, როდესაც ნატალიამ ხელი გამომიწოდა. აქ მყოფი ქართველი სპორტსმენებისთვის ძალიან ძნელია იმის გადატანა, რაც ჩვენს სამშობლოში ხდება. შეიძლებოდა დღეს აქ არც ვყოფილიყავი, რადგან მთელი გუნდის სამშობლოში დაბრუნება იგეგმებოდა. ღამეებს თეთრად ვათენებთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ფიქრში, ეს მართლაც საშინელებაა. ნატალია ჩემი ახლო მეგობარია, წლების მანძილზე ერთად მოვდივართ. დღეს ჩვენი ერთად დგომა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სპორტში პოლიტიკის ადგილი არ არის“ — განუცხადა სალუქვაძემ CHINA DAILY-ს კორესპონდენტს.

გუშინწინდელ რეპორტაჟში აღვნიშნე, რომ ოლიმპიადის მსვლელობისას პეკინში ყოველგვარი დემონსტრაციის გამართვა მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებშია დაშვებული. ისიც ნათქვამია, თუ რა სანქციები შეიძლება მოჰყვეს ამ კანონის დარღვევას — ეს არის ორი დღით დაპატიმრება და ქვეყნიდან დაუყოვნებელი დეპორტაცია. საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები ადგილობრივი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მუშაკებს შეხვდნენ, ხოლო მოგვიანებით, საღამოს 6 საათზე, მათივე ინიციატივით ჩინეთში რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო აქცია დაიგეგმა ლოზუნგით: „რუსეთო შეწყვიტე დაბომბვა“, რომელსაც პეკინში აკრედიტებული უამრავი ჟურნალისტი დაესწრო.

აქციამ დაახლოებით ნახევარ საათს გასტანა და უცხოური მასმედიის უდიდესი ინტერესი გამოიწვია. საელჩოსთან უმალ სამხედრო ოფიცრები გამოიძახეს და წინ აღვიდგნენ, ხოლო მოგვიანებით პოლიციაც გაჩნდა. შეიქმნა ჩვენი დაკავების საშიშროება, ყველა დეტალს გულისყურით აკვირდებოდნენ, ითხოვდნენ პასპორტებს. მოკლედ, არავინ იცის როგორ განვითარდებოდა მოვლენები და რა ბედი გველოდა, რომ არა ისევ ჩვენი საელჩოს დახმარება. მათ პოლიციასთან მოლაპარაკება მოახერხეს და რამდენიმე წუთში სამშვიდობოს გამოგვიყვანეს.

საპროტესტო აქციიდან დაბრუნებულ რამდენიმე ქართველ ჟურნალისტს მთავარი პრესცენტრის წინ ფოტოს გადაღება გვინდოდა. გადაწყვიტეთ, ვინმე ფოტოგრაფისთვის გვეთხოვა და, მაინცდამაინც რუსი შეგვრჩა ხელთ. არ ვიცოდით რუსი თუ იყო, რადგან არაფერი მისი ქვეყნის აღმნიშვნელი არ ეცვა. როდესაც დროშა გავშალეთ და სურათის გადასაღებად მოვემზადეთ, რუსულად გვითხრა, „ბიჭებო ეს უკვე მეტისმეტია“, თუმცა სურათი მაინც გადაგვიღო...

ამ სტრიქონების წერისას პეკინში მოვიდა ინფორმაცია რუსული ჯარის კიდევ უფრო გააქტიურების და სენაკში შესვლის შესახებ. თავზარი დაგვეცა, როგორ გინდა გონებას სტატიის გასაგრძელებლად მომართო, ან კი რაღა უნდა დავწერო, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა ყოფნა-არ ყოფნის ზღვარზეა... და მაინც.

ერთადერთი სასიამოვნო ამბავი კრივში ფოთელი ნიკოლოზ იზორიას გამარჯვება იყო.

გუშინ კი, როგორც დაგეგმილი იყო, პეკინში „ქართული სახლის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც სხვა მნიშვნელოვანი სტუმრების გარდა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და ამავდროულად ირლანდიის ეოკ-ის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკიც ესწრებოდა. მას წლების მანზილზე საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან მჭიდრო და გულთბილი ურთიერთობები აკავშირებს. „ქართულ სახლში“ ათობით უცხოელმა ჟურნალისტმაც მოიყარა თავი.

პრეზენტაცია „ქართული სახლის“ ერთ-ერთმა კოორდინატორმა ნანა ალექსანდრიამ გახსნა, შემდეგ კი სიტყვა სეოკ-ის პრეზიდენტს გოგი თოფაძეს გადასცა, რომელმაც დღეს ჩვენს ქვეყანაში შექმნილი უმძიმეს ვითარებასა და სოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგთან შეხვედრის შესახებ ისაუბრა. აქვე ავღნიშნავ, რომ გუშინ დილით, თამაშების მთავარ პრეს-ცენტრში, გავრცელდა ჟაკ როგის მიმართვა, სადაც იგი ხაზს უსვამს ზოგადადაც და განსაკუთრებით კი ოლიმპიადის მსვლელობისას, მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას და მადლობას უხდის ქართველ სპორტსმენებს თამაშებზე დარჩენის გამო.

პრეზენტაციის მერე პატრიკ ჰიკს მცირე ინტერვიუ ვთხოვე.

— როგორ შეაფასებთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს?

— მკვეთრად უარყოფითად ვარ განწყობილი. თქვენი ქვეყანა ძალიან მიყვარს და სეოკ-ის მოწვევით რამდენჯერმე ვყოფილვარ სტუმრად. ესეც რომ არ იყოს, როგორ არ უნდა აღშფოთდე, როცა მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავენ?! იმ აგრესიის გამართლება, რასაც ბოლო დროს რუსეთი საქართველოს მიმართ იჩენს, ყოვლად შეუძლებელია. იმედია, თქვენი ქვეყანა ცხოვრების ჩვეულ რიტმს მალე დაუბრუნდება. როდესაც რუსული თვითმფრინავების მიერ საქართველოს ქალაქების დაბომბვის კადრები ვნახე, თავდაპირველად თვალებს არ ვუჯერებდი და არ მინდოდა მეფიქრა, რომ ეს ყველაფერი რეალობა იყო. ყველა საშინელებასთან ერთად ეს არის საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის დიდი შეურაცხყოფაც, როდესაც ოლიმპიადის გახსნის დროს მასში მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს თავზე ბომბები ცვივა. სხვათა შორის, ჩვენს გუნდშიც არის ერთი ქართველი მწვრთნელი ზურაბ ანთია, რომელიც მოკრივეებს ავარჯიშებს და მისი მშობლიური ქალაქიც დაიბომბა.

— და ბოლოს, როგორც იცით 10 აგვისტოს ქართული დელეგაცია ოლიმპიადის დატოვებას და შინ გამგზავრებას აპირებდა...

— გულწრფელად გეტყვით, რომ გული ძალიან დამწყდებოდა. ქართულ სპორტს უდიდეს პატივს ვცემ და საერთაშორისო არენებზეც ქართველ ათლეტებს ხშირად ვგულშემატკივრობ. კარგია, რომ რუსეთის მსგავსად, ოღონდ სულ სხვა გაგებით, ქართველებმა არ დაარღვიეს ოლიმპიზმის პრინციპები და პეკინში დარჩენა და თამაშებში მონაწილეობის გაგრძელება გადაწყვიტეთ. უპირველესად მშვიდობას და პეკინში წარმატებულ ასპარეზობას გისურვებთ.




REUTERS

# იზორიამ ტატო ცემა
## ახლა შაჰინის ჯერია


ნიკა იზორიას ტატო ბააჩეკი შემოელახა

**ქართველმა** მოკრივემ ნიკოლოზ იზორიამ (57) თავის მეორე ოლიმპიადა გამარჯვებით დაიწყო და ბოცვანელ ტატო ბააჩეკს შავი დღე აყარა — 14:4.

მეტოქემ ჩხუბი აქტიურად კი დაიწყო, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ კლასში სხვაობა ისეთივე დიდი იყო იზორიას სასარგებლოდ, როგორც საქართველოსა და ბოცვანას შორის მანძილი.

3:0 გაქცევის მერე იზორიას თვალი დაუშავდა და დარჩენილ დროში მისი პრობლემა სწორედ ეს იყო, თორემ მომდევნო წრეში გასვლაში ბოცვანელი რომ ვერ შეუშლიდა ხელს, ცხადი გახლდათ. სათუო მხოლოდ იზორიას ჯანმრთელობა იყო, რადგან თუ სისხლი წასკდებოდა, მაშინ ბრძოლის გაგრძელების საშუალებას მსაჯები აღარ მისცემდნენ. საბედნიეროდ, ქართველმა პრობლემებსაც გაუძლო და 5:2, 5:2, 3:0, 1:0 ზედმეტი ნერვიულობის გარეშე იმარჯვა. არადა, ეს ტატო ძალიან უხეში მოკრივე გამოდგა, სულ წესებს არღვევდა მსაჯებისგან გაფრთხილებებს იღებდა და ერთთავად იმის ცდაში იყო, იზორიასთვის ნატკენ თვალზე ხელი მიერტყა, მას შემდეგ რაც მსაჯი მოკრივეებს გაანცალკევებას და ჩხუბის თავიდან დაწყებას მოსთხოვდა.

საბოლოოდ 14:4 ქართველის სასარგებლოდ და ახლა ის მერვედფინალში აზერბაიჯანელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ შაჰინ იმრანოვს ეკრივება, ვინც 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ყაზახი გალიბ ჯაფაროვი 9:5 დაამარცხა.

**ნიკა კოპაძე**




კიმ ჩოიმ დავით ქევხიშვილი წაგვიქცია

# ერთი კი მოიგო, მაგრამ...
## ძიუდოისტების უმედლო სერია გრძელდება

**ჩვენი** ძიუდოისტებისთვის პეკინის ოლიმპიადა უიღბლოდ გრძელდება. მედლებისთვის ბრძოლა გუშინ ვერც დავით ქევხიშვილმა (73კგ) შეძლო და გათამაშებას ნაადრევად გამოეთიშა.

პირველ წრეში ქევხიშვილი მოლდოველ სერგეი ტომას შეხვდა და დაძაბულ პაექრობაში მოუგო. მე-2 წუთზე იუკო აუღო მაგრამ თვითონ პასიურობისთვის კოკა წაართვეს.

ამას ქართველის გამოფხიზლება და მოლდოველის ბეჭებზე დაცემა მოჰყვა, თუმც გდება იპონად მხოლოდ მთავარმა მსაჯმა შეაფასა, გვერდითებმა კი გააუქმეს.

შემდეგ მეტოქეებმა გაფრთხილებები გაცვალეს და ქევხიშვილმა ბოლოსლა იძალა — იუკო აიღო და მეორე წრეში ჩრდილოეთ კორეელ ჩოი სუ კიმს დაუდგა, ვინაც მანამდე კუბელი რონალდ ხირონესი იპონით წააქცია წუთნახევარში.

ქევხიშვილმა ჩოისთან ვერაფერი გააწყო. სამი წუთის მერე თავისივე შეცდომის გამოისობით იუკოსა და ვაზარს აგებდა. კი გააქტიურდა, იუკო აიღო, მერე კორეელი გააფრთხილებინა კიდეც მსაჯს, მაგრამ გადამწყვეტი შეტევისთვის 8 წამი დარჩა და ქულის აღება ველარ მოასწრო.

ჩოიმ მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ ელნურ მამადლისთან უშანსოდ წააგო. ორ წუთში ორი ვაზარი დაუთმო და წინ გაუშვა. ჩვენ ჩვენი ამბავი ვთქვათ: ჩოის წაგებამ ქევხიშვილს ბრინჯაოს შანსიც მოუსპო.

გუშინ კი საბა გავაშელიშვილმა (81კგ) წლევანდელ ევროპის ჩემპიონ პორტუგალიელ ჟოა ნეტოსთან წააგო. ნეტომ ჯერ იუკო აუღო ქართველს, მერე სულაც დააიპონა და ვერც თვითონ გააღწია ნახევარფინალში, გავაშელიშვილისთვის დამამშვიდებელში ჩართვის საშუალება რომ მიეცა.

დღეს ძიუდოისტთა ნაკრებიდან მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე იჭიდავებს და იმედი გვაქვს, რომ ნავსს გატეხავს და ძიუდოისტებიდან პირველ მედალს მოგვიტანს.

**ნიკა კოპაძე**

# საქა-რთველოს და გეორ-გიას მესამე და სამართალი?

**ქართველმა** პლაჟბურთელებმა ოლიმპიადაზე გამოსვლა წაგებებით დაიწყეს, თუმც ჯერ საგანგაშო არაფერია, რაკილა ჯგუფიდან გასვლა გეორ-გიასა და საქა-რთველოს კიდევ შეუძლიათ.

ბიჭებმა ორ სეტში ჯერ ავსტრალიელ სხალტთან და სლეკთან წააგეს, მერე კი ბრაზილიელ რიკარდო-ემანუელის დუეტთან.

ავსტრალიელები ჯგუფში ჩვენს უშუალო კონკურენტებად ითვლებოდნენ, რადგან ძნელად ათენის ოლიმპიადის ბრაზილიელ ჩემპიონებს რამე პრობლემა შექმნოდათ, ამიტომ მეორე ადგილის დასაკავებლად, საიდანაც პირდაპირ მომდევნო ეტაპზე გადიხარ, მწვანე კონტინენტის წარმომადგენლების დამარცხება იყო საჭირო, რაც გეორ-გიამ ვერ შეძლო.

მით უფრო ძნელი საქმე იყო ბრაზილიელების დამარცხება. ისიც ვთქვათ, რომ ორივე წყვილი ერთად ვარჯიშობს, მეგობრები არიან და რიკარდო-ემანუელს ახლა ის კაჟა ავარჯიშებს, ვინც ადრე გეორ-გიას მოძღვრავდა.

საქა-რთველომ კი ბრაზილიელ ლარისა-პაულას წყვილთან წაგების შემდეგ ვერც ავსტრალიელ კუკი-ბარნეტთან მოახერხა რამე და 18:21, 12:21 დამარცხდა.

ჩვენებს თამაში ცუდად არ დაუწყიათ, ქულა-ქულაში ეპაექრებოდნენ საკმაოდ ძლიერ გოგონებს, რომელთაგან ერთი, კუკი, ძალიან გამოცდილია — სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია და ამ გამარჯვებაშიც გვარიანი სიტყვა თქვა. მაგრამ რომ არა უამრავი შეცდომა, სულ ცოტა, ავსტრალიელებისთვის ერთი სეტის მოგება მაინც შეიძლებოდა, რაც მერე უთუოდ წაგვადგებოდა, რადგან ჯგუფების ორი მესამეადგილოსანი პირდაპირ გადის მომდევნო ეტაპზე.

თუმცა კუკი-ბარენტის დუეტმა თანდათან 5-6-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, საქა-რთველომ კი მხოლოდ ის შეძლო, რომ სხვაობა სამ ბურთამდე შეამცირა. საქა, ვინც ბადესთან თამაშობს და ბლოკის გაკეთება ევალება, ამ მხრივ, ძალიან მოიკოჭლებდა და ერთხელაც ვერ დააფარა ბურთს. სამაგიეროდ, კარგად ირჯებოდა ნაცადი კუკი.

მეორე სეტი საქა-რთველომ უკეთესად დაიწყო და 7:6 დაწინაურდა, მაგრამ ამას ავსტრალიელების გამოცოცხლება და საპირისპიროდ, ქართველების უამრავი შეცდომა მოჰყვა. კუკი-ბარნეტმა მეტოქეს შანსი აღარ მისცა...

რაც შეეხება ჯგუფიდან გასვლის შანსებს, ბიჭებმა ანგოლელებს უნდა მოუგონ და ეს საძნელო საქმე სულაც არაა, თუმც მერე თუ უკეთეს ორ მესამეადგილოსანს შორის ვერ მოხვდნენ, დარჩენილ ოთხ მესამეადგილოსნებთან ერთად პლეი ოფს გაითამაშებენ. იქიდან კი ფინალისკენ გზას ოთხიდან ორი წყვილი გაუდგება.

იგივე პრინციპია გოგონებში, ოღონდ საქა-რთველოს უფრო რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი. მათი მეტოქე რუსი შირიაევა-ურიადოვას ტანდემი იქნება.

ჩვენი ორივე წყვილი ბოლო ჯგუფურ მატჩებს დღეს ჩაატარებს.

**ნიკა კოპაძე**

# ბიჭი გადარჩა

## ფელპსის რეკორდი ვეტერანმა ლეზაკმა იხსნა

**დიდი** ამბები დატრიალდა გუშინწინ პეკინის აკვა-ცენტრში. საზოგადოდ, ცურვაზე მწერალი ჟურნალისტები ერთობ მოსაწყენი ხალხია. ისე უგემურად უყურებენ მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეთა შეჯიბრს, თითქოს პირში ჩარჩენოდეთ მოხარშული ცივი კარტოფილი და გადაყლაპვა ვერ გადაეწყვიტოთ. ბოლოს ალბათ მაინც გადაყლაპავენ და ჩაიწერენ მშრალ მონაცემებს, მერე კი მათ ინტერნეტში განათავსებენ იმ იმედით, რომ რვა კაცში მერვე ადგილზე გასული სპორტსმენის მშობელი ამობეჭდავს და ჯერ ახლობლებს აჩვენებს, ნახეთ, რა შვილი მყავს, ოლიმპიადის ფინალში დაცურავსო, მერე კი საუკუნო ადგილს მიუჩენს ოჯახურ რელიქვიათა გვერდით.

მაგრამ ორშაბათს კაცთა 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტის მსვლელობისას ყველაზე უჯიგრო სტატისტიკოსსაც არ ეცალა მოსაწყენად. საქმე ისაა, რომ საფრთხე დაემუქრა მაიკლ ფელპსის შენების პროცესში მყოფ უნიკალურ რეკორდს — ერთ ოლიმპიადაზე 8 ოქროს, რასაც ამ ოლიმპიადის უმთავრეს თუ არა, ერთ-ერთ მთავარ ინტრიგად აყვირებს მსოფლიოს ყველა მსხვილ სპორტულ გამოცემა-გამოშვება.

რაკი მსოფლიოს უძლიერესი საცურაო ნაკრებები ერთმანეთს ესტაფეტაში ეჯიბრებოდნენ, ფელპსის რეკორდის ბედი სხვის ხელში აღმოჩნდა, თუმცაღა თავად ფელპსმა ისე ვერ იცურავა, უმაღლესი მედალი ალალად რომ დაემსახურებინა. ამერიკელებმა საკვალიფიკაციო ეტაპზე დაასვენეს მთავარი ვარსკვლავი (წინა დღეს უმისოდ დაამყარეს მსოფლიო რეკორდი), ორშაბათის ფინალურ ესტაფეტაში კი პირველ კაცად ფელპსი დააყენეს, რომელსაც არა უშავდა, თუმც იდეალურისგან შორს იყო და ავსტრალიელ სუპერსპრინტერ იმონ სალივანს ჩამორჩა. ფელპსის დაკარგული ამოილო მეორე ამერიკელმა გარეტ ვებერ-გეილმა და აშშ გაალიდერა, მაგრამ მესამეთა ჯერი რომ დადგა, ფელპსის გუნდს ახლა ფრანგებმა გაასწრეს ფრედერიკ ბუსკეს ფანტასტიკური გაცურვის წყალობით.

წინ კიდევ 100 მეტრი იდო. ამერიკელებს ბოლო კაცად გუნდში ყველაზე ბებერი მოცურავე, 32 წლის ჯეისონ ლეზაკი ეყენათ, ვინც მხოლოდ ესტაფეტისთვის წაიყვანეს. მოლიდერე ფრანგებისგან კი წყალში მეოთხე კაცად გადაეშვა თვით ალან ბერნარი, 100 თავისუფალი მეტრის მსოფლიო რეკორდსმენი. ფელპსს გადარევას აღარაფერი უკლდა, ჩვეულებრივ უდრტვინველი და ხმადაუძრავი, ახლა პირდაპირ გაცოფდა — აუზის პირას ხტოდა და ცოტა დააკლდა, შიგ არ ჩავარდა. ძნელი სათქმელია, ესმოდა თუ არა ლეზაკს მისი შოლტივით შემახილები, მაგრამ ის ამ დროს სასწაულებს სჩადიოდა. სამ-სამი მოცურავის გამოცვლის შემდეგ აშშ ისედაც ნახევარ წამზე მეტს აგებდა საფრანგეთთან. კარგი იყო ბერნარი, მაგრამ ლეზაკმა შეუძლებელი შეძლო და ვეშაპივით ფრანგს ფინიშამდე ათიოდე მეტრით ადრე გაუსწორდა, ბოლოს კი ოდნავ გაასწრო კიდეც. ფუტურისტული აკვაცენტრის ჭერი ჩამონგრევას გადაურჩა, ფელპსი კი რეკორდის დაკარგვას.

ემოციები რომ განელდა და ტაბლოზე შედეგები აინთო, აღმოჩნდა, რომ ამერიკელებს წინა დღეს კვალიფიკაციაში დამყარებული რეკორდი გაუუმჯობესებიათ — 3 წუთი, 8,24 წამი და ზეიმიც თავიდან გააჩაღეს. ფრანგებს 3.08,32 შედეგით ევროპის რეკორდი, ვერცხლი და იმედგაცრუება შერჩათ. მესამე კი ავსტრალია იყო.

ცურვის ყადრის მცოდნეებმა ამ შეჯიბრს დაუვიწყარი თუ უწოდეს. ტრიუმფატორი ლეზაკი კი ფელპსის ხვევნისგან დახრჩობას გადაურჩა, ოღონდ მერე ამბობდა, თავბრუ მესხმის და ემანდ არსად წავიქცეო.

ასევე რეკორდით გაკეთილშობილებული გამოვიდა 100 მეტრ ბრასის ფინალი. აქ იაპონელი კოსუკე კიტაჯიმასა და ამერიკელი ბრენდან ჰანსენის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ რეკორდსმენი ამერიკელი ჩაფლავდა და საერთოდ უმედლოდ დარჩა (მეოთხე ადგილი). კიტაჯიმამ კი 58,91 წამში იცურავა და ჰანსენის ძველ რეკორდს 0,22 წამი ჩამოაჭრა. სათქმელია, რომ მეექვსე ადგილოსანი კიტაჯიმას ერთ წამზე ნაკლებით ჩამორჩა.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა ქალთა შორის 400 თავისუფალი მეტრის ფინალი. აქ ფავორიტებად ამერიკელი კეტი ჰოფი და იტალიელი რეკორდსმენი ფედერიკა პელეგრინი ითვლებოდნენ. მოქმედ ჩემპიონს, 20 წლის ფრანგ ლორ მანადუს ფავორიტად აღარავინ თვლიდა, მაგრამ მან მოიკრიბა თავის გადაღლილ სხეულში დარჩენილი მთელი ენერგია და გადასარევად იცურავა... 400-დან 150 მეტრი. ლიდერობდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც მერვე ადგილზე გავიდა. პელეგრინი მხოლოდ მეხუთე იყო, ჰოფმა კი 400 კომპლექსურზე მესამე ადგილის შემდეგ, ახლა ერთი საფეხურით აიწია და გულზე ვერცხლი დაიკიდა. ყველასთვის მოულოდნელად ჩემპიონი გახდა ბრიტანელი რებეკა ადლინგტონი, რომელიც 1960 წელს რომში გამარჯვებული ანა დოსბროს შემდეგ პირველი ბრიტი ქალია, ვინც ოლიმპიური ცურვის სახეობაში ოქრო მოიპოვა. მან მხოლოდ 0,07 წამით მიასწრო ჰოფს.

100 მეტრ ბატერფლაის ფინალი კი მოიგო სუპერვარსკვლავმა, ადრე ლიბი ლენტონად წოდებულმა, გათხოვების შემდეგ კი ქმრის გვარზე გადაწერილმა ლიბი ტრიკეტმა.

ორშაბათსვე, ოღონდ არა ფინალურ, არამედ ნახევარფინალურ გაცურვაში გულაღმა 100 მეტრზე ზიმბაბველმა კრისტი ქოვენთრიმ 58,77 შედეგით 0,20 წამით გააუმჯობესა ამერიკელი ნატალი კულინის მსოფლიო რეკორდი.

### გუშინ:

სამშაბათს ფელპსმა დაგეგმილი რვიდან მესამე ოქრო მოიგო და ისევ მსოფლიო რეკორდის თანხლებით — 200 მეტრი თავისუფალი 1.42,96 დროში მოიოქრორეკორდა.

კიდევ ერთმა ამერიკელმა აარონ პირსოლმაც განაახლა თავისივე რეკორდი — გულაღმა 100 მეტრი 52,54 შედეგით მოიგო.

ნატალი კულინმა 58,96 შედეგით იმარჯვა 100 გულაღმა ცურვის ფინალში და ამ ოლიმპიადაზე ამერიკელ მოცურავე ქალთაგან პირველმა მოიპოვა ოქრო.

სამშაბათის მეოთხე ფინალში, 100 მეტრზე ქალთა ბრასში 1.05,17 შედეგით იპირველა ავსტრალიელმა ლეიზელ ჯონსმა.

**ირაკლი ფირაშვილი**



გარეტ ვებერ-გეილი და მაიკლ ფელპსი




# ინდოეთ გმირი აბჰინავ ბინდრა

**მილიარდიან** ინდოეთს ახალი გმირი ჰყავს — აბჰინავ ბინდრა, რომელმაც პნევატური შაშხანიდან 10 მეტრზე სროლაში აჯობა ყველას და ამხელა ინდოეთის ისტორიაში პირველი ინდივიდუალური ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

აქამდე ინდოელები ბალახის ჰოკეიში ხდებოდნენ ხოლმე ჩემპიონები და ის ეპოქაც, კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. ჩემპიონობასა და პრიზიორობას ვინღა ჩივის, ინდოელი ჰოკეისტები შესარჩევი ეტაპის დაძლევას ველარ ახერხებენ და აგერ, პეკინშიც, ბალახის ჰოკეისტთა ოლიმპიური ტურნირი მათ გარეშე მიმდინარეობს.

და აი, ბალახის ჰოკეისტების გარეშე დარჩენილმა ინდოელებმა იქ გაიხარეს, სადაც არავინ ელოდა. თანაც აბჰინავ ბინდრა ფინალში მესამე შედეგით შევიდა და შესაბამისად, ორი და ერთი ქულით ჩამორჩებოდა ფინელ ჰენრი ჰაკინენს და ჩინელ ქინან ჟუს. ფავორიტად სწორედ ჩინელი ითვლებოდა და ჟუმ შეძლო კიდეც კვალიფიკაციის შემდეგ პირველ ადგილზე მყოფი ჰაკინენის გადასწრება, მაგრამ ბინდრამ საოცარი სიზუსტე გამოიჩინა, ფინალური სროლისას 110 მაქსიმალური ქულიდან 104,5 გააკეთა და საბოლოო ჯამში სულ მცირედით, 0,8 ქულით, მაგრამ მაინც აჯობა ჩინელ სნაიპერს.

მესამე ადგილზე ჰაკინენი გავიდა და ეს არ იყო ფინელ ჩუბინთა ერთადერთი გუშინდელი წარმატება — ქალთა შორის სასანგრე სტენდზე სროლაში ყველას სატუ მაკელა-ნუმელამ აჯობა და თანაც, ამ 37 წლის მსროლელმა 91 ქულით ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა.

# ბავშვი მეწყვილემ დაალალატა

**მრავალთაგან** ერთ-ერთი ოქროს მედალი ჩინელებს მოუტანეს წყალში მხტომელებმა — ლინ იუემ და ჰუო ლი ანმა, რომლებმაც კაცთა შორის 10-მეტრიანი კოშკიდან სინქრონულად ხტომაში გაიმარჯვეს.

ჩინელები მთელი შეჯიბრის განმავლობაში დამაჯერებლად ლიდერობდნენ და ხელიდან არ გაუშვიათ უპირატესობა. მათი დაწევის თეორიული შანსის პრაქტიკაში გამოყენების ამაოდ ცდილობდნენ რუსები — გლებ გალპერინი და დმიტრი დობროსკოკი, მაგრამ მეხუთე ცდა დიბროსკოკმა მთლიანად ჩააფლავა, წყალში ვერტიკალურად კი არ ჩაეშვა, ჰორიზონტალურად ჩავარდა და მეორე ადგილზე მიმავალ რუსულ წყვილს მეექვსე და უკანასკნელი ნახტომისას გერმანელებმა პატრიკ ჰაურდინგმა და საშა კლეინმა ვერცხლი წაართვეს.

არ გაუმართლა ბრიტანელ ევროპის ჩემპიონს, 14 წლის ტომ დელის. მთლად ბავშვი კია, თუმც დელი უკვე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მხტომელია, მაგრამ მისი ოსტატობა მხოლოდ ფინალურ რვეულში ჩაწერას ეყო. მეწყვილის უსუსურ გამოსვლის გადმოკიდე დელი მხოლოდ მერვე იყო.

**ვანო ქობიაშვილი**

# კვარცხლბეკი

10 აგვისტო

## სროლა

**ქალები. ტრეპი (სასანგრე სტენდი)**

1. სატუ მაკელა-ნუმელა (ფინეთი) 91 (ოლიმპ. რეკორდი; 70+21)
2. სუზანა სტეფეჩეკოვა (სლოვაკეთი) 89 (70+19)
3. კორი კოგდელი (აშშ) 86 (69+17)

**კაცები. პნევმატური პისტოლეტი, 10 მ**

1. აბჰინავ ბინდრა (ინდოეთი) 700,5 (596+104,5)
2. ქინან ჟუ (ჩინეთი) 699,7 (597+102,7)
3. ჰენრი ჰაკინენი (ფინეთი) 699,4 (598+101,4)

## ცურვა

**ქალები. 100 მ ბატერფლაი**

1. ლიზბეთ ტრიკეტი (ავსტრალია) 56,73 წმ (ოლიმპ. რეკორდი)
2. კრისტინ მაგნუსონი (აშშ) 57,10
3. ჯესიკა შიპერი (ავსტრალია) 57,25

**ქალები. 400 მ თავისუფალი**

1. რებეკა ედლინგტონი (დიდი ბრიტანეთი) 4წთ. 03,22 წმ
2. კეტი ჰოფი (აშშ) 4.03,29
3. ჯოანა ჯეკსონი (დიდი ბრიტანეთი) 4.03,52

**კაცები. 100 მ ბრასი**

1. კოსუკე კიტაჯიმა (იაპონია) 58,91 წმ (მსოფ. რეკორდი)
2. ალექსანდერ დალე ოენი (ნორვეგია) 59,20
3. ჰიუგო დუბოსკი (საფრანგეთი) 59,37

**კაცები. 4X100 მ თავისუფალი**

1. აშშ (მაიკლ ფელპსი, გარეტ ვებერ-გეილი, კალენ ჯონსი, ჯეისონ ლეზაკი) 3 წთ. 08,24 წმ (მსოფ. რეკორდი)
2. საფრანგეთი (ამაური ლევო, ფაბიენ ჟილო, ფრედერიკ ბუსკე, ალენ ბერნარი) 3.08,32 (ევრ. რეკორდი)
3. ავსტრალია (ეიმონ სალივანი, ენდრიუ ლაუტერშტეინი, ეშლი კალუსი, მეტ ტარგეტი) 3.09,91 (ავსტრ. რეკორდი)

## მშვილდოსნობა

**კაცები. გუნდური**

1. სამხრ. კორეა (ლონგ ჰუნ იანი, ჩანგ ჰანგ ლი, კიონგ მო პარკი)
2. იტალია (ილარიო დიბუო, მარკო გალიაცო, მაურო ნესპოლი)
3. ჩინეთი (ჰაიფენგ ქსუე, ვენქუან ლი, ლინ ჯიენგი)

## წყალში ხტომა

**კაცები. წყვილები. 10-მეტრიანი კოშკი**

1. იუე ლინი, ლიანგ ჰუო (ჩინეთი 468,18 ქულა)
2. საშა კლაინი, პატრიკ ჰაუსდინგი (გერმანია) 450,42
3. დმიტრი დობროსკოკი, გლებ გალპერინი (რუსეთი) 445,26

## ძალოსნობა

**ქალები. 58 კგ**

1. იანინ ჩენი (ჩინეთი) 244 კგ (ოლიმპ. რეკორდი; 106+138)
2. მარინა შაინოვა (რუსეთი) 227 (98+129)
3. ჟონგ აე ო (ჩრდ. კორეა) 226 (95+131)

**კაცები. 69 კგ**

1. ქსიან ქსიან ჟენგი (ჩინეთი) 319 (143+176)
2. დიეგო სალაზარი (კოლუმბია) 305 (138+167)
3. ტრიიატნო (ინდონეზია) 298 (135+163)

## ძიუდო

**ქალები. 57 კგ**

1. ჯულია ქუინტავალე (იტალია)
2. დებორა ვან დერ გევენ-გრავენსტეინი (ჰოლანდია)
3. კეტლინ ქუადროში (ბრაზილია)
4. იან ქსუ (ჩინეთი)

**კაცები. 73 კგ**

1. ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი)
2. კი ჩუნ ვანგი (სამხრ. კორეა)
3. რასულ ბოკიევი (ტაჯიკეთი)
4. ლეანდრო გუილეირო (ბრაზილია)

## ფარიკაობა

**ქალები. რაპირა, პირადი**

1. მარია ვალენტინა ვეზალი (იტალია)
2. ჰიუნ ჰი ნამი (სამხრ. კორეა)
3. ჯოვანა ტრილინი (იტალია)



ელნურ მამადლიმ აზერბაიჯანს ოქრო არ დაამადლა

## კალათბურთი

**ქალები. ჯგუფური ეტაპის II ტური**

**A ჯგუფი**

რუსეთი — სამხრ. კორეა, 77:72; ბელარუსი — ლატვია 80:57; ავსტრალია — ბრაზილია 80:65

*ავსტრალია, რუსეთი 2-2 მოგება; სამხრ. კორეა, ბელარუსი 1-1; ლატვია, ბრაზილია 0-0*

**B ჯგუფი**

ჩეხეთი — მალი 81:47; ესპანეთი — ახალი ზელანდია 85:62; აშშ — ჩინეთი 108:63

*აშშ 2 მოგება; ჩეხეთი, ესპანეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი 1-1; მალი 0*

## ხელბურთი

**ქალები ჯგუფური ეტაპის II ტური**

**A ჯგუფი**

ნორვეგია — ანგოლა 31:17; საფრანგეთი — ყაზახეთი 21:18; რუმინეთი — ჩინეთი 34:20

*ნორვეგია, საფრანგეთი, რუმინეთი 4-4 ქულა; ანგოლა, ყაზახეთი, ჩინეთი 0-0*

**B ჯგუფი**

სამხრეთ კორეა — გერმანია 30:20; უნგრეთი — ბრაზილია 28:28; რუსეთი — შვედეთი 28:24.

*სამხრეთ კორეა, რუსეთი, უნგრეთი 3-3 ქულა; გერმანია 2; ბრაზილია 1; შვედეთი 0*

## ბალახის ჰოკეი

**კაცები. ჯგუფური ეტაპის I ტური**

**A ჯგუფი**

გერმანია — ჩინეთი 4:1; ახალი ზელანდია — სამხრ. კორეა 3:1; ესპანეთი — ბელგია 4:2.

**B ჯგუფი**

დიდი ბრიტანეთი — პაკისტანი 4:2; ავსტრალია — კანადა 6:1; ჰოლანდია — სამხრეთ კორეა 5:0.

## ფრენბურთი

**ქალები. ჯგუფური ეტაპის II ტური**

**A ჯგუფი**

კუბა — აშშ 3:0 (25:16, 26:24, 25:17); ჩინეთი — პოლონეთი 3:1 (22:25, 25:15, 25:20, 25:22); იაპონია — ვენესუელა 3:0 (25:12, 25:17, 25:12)

*კუბა, ჩინეთი 2-2 მოგება; იაპონია, აშშ 1-1; პოლონეთი, ვენესუელა 0-0*

**B ჯგუფი**

ბრაზილია — რუსეთი 3:0 (25:14, 25:14, 25:16); იტალია — ყაზახეთი 3:0 (25:19, 25:15, 25:21); სერბეთი — ალჟირი 3:0 (25:14, 25:13, 25:13)

*ბრაზილია, იტალია, სერბეთი 2-2 მოგება; ყაზახეთი, ალჟირი, რუსეთი 0-0*

## წყალბურთი

**ქალები. ჯგუფური ეტაპის I ტური**

**A ჯგუფი**

იტალია — რუსეთი 9:8; აშშ — ჩინეთი 12:11

**B ჯგუფი**

ავსტრალია — საბერძნეთი 8:6; უნგრეთი — ჰოლანდია 11:9



კორეელმა ხელბურთელმა სიონგ ოკ ომ გერმანელი კლარა ვოლტერინგის კარი დალაშქრა

# თამაშების განრიგი

**13 აგვისტო, ოთხშაბათი**

**ბადმინტონი**

ქალები, პირადი — მეოთხედფინალი
ქალები, წყვილები — ნახევარფინალი
კაცები, წყვილები — მეოთხედფინალი

**ბეისბოლი**

ჯგუფური ეტაპის I ტური

**კალათბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის II ტური

**პლაჟის ფრენბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის მატჩები
კაცები — ჯგუფური ეტაპის მატჩები

**ფრენბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**კრივი**

48 კგ — I წრე
91 კგ — I წრე

**სანიჩბოსნო სლალომი**

ქალები — კაიაკი (ბაიდარა) — კვალიფიკაცია
კაცები, წყვილები — კაიაკი (ბაიდარა) — კვალიფიკაცია

**საგზატკეცილო ველორბოლა**

ქალები — ინდივიდუალური რბოლა — ფინალი
კაცები — ინდივიდუალური რბოლა — ფინალი

**წყალში ხტომა**

კაცები, წყვილები — 3-მეტრიანი ტრამპლინი — ფინალი

**ცხენოსნობა**

გაწვრთნა — პირადი — კვალიფიკაცია
გაწვრთნა — გუნდური — კვალიფიკაცია

**ფარიკაობა**

ქალები — დაშნა, პირადი — ფინალი
კაცები — რაპირა, პირადი — ფინალი

**ფეხბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**სპორტული ტანვარჯიში**

ქალები — გუნდური — ფინალი

**ხელბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**ბალახის ჰოკეი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის II ტური

**ძიუდო**

ქალები — 70 კგ — ფინალი
კაცები — 90 კგ — ფინალი

**ნიჩბოსნობა**

ნახევარფინალური გაცურვები

**აფროსნობა**

ქალები — ინგლინგის კლასი — მე-7 და მე-8 გაცურვები
ქალები — „470-ის" კლასი — მე-5 და მე-6 გაცურვები
ქალები — „ლეზერის" კლასი — მე-3 და მე-4 გაცურვები
კაცები — „ლეზერის" კლასი — მე-3 და მე-4 გაცურვები
კაცები — „470"-ის კლასი — მე-5 და მე-6 გაცურვები
მიქსტი — „ფინის" კლასი — მე-7 და მე-8 გაცურვები
მიქსტი — „49-ის" კლასი — მე-7, მე-8 და მე-9 გაცურვები

**სროლა**

ქალები — სპორტული პისტოლეტი, 25მ — ფინალი

**სოფტბოლი**

ჯგუფური ეტაპის I ტური

**ცურვა**

ქალები — 200 მ თავისუფალი — ფინალი
ქალები — 200 მ კომბინირებული — ფინალი
ქალები — 200 მ ბატერფლაი — ნახევარფინალი
ქალები — 100 მ თავისუფალი — კვალიფიკაცია
ქალები — 200 მ ბრასი — კვალიფიკაცია
ქალები — 4X200 მ თავისუფალი — კვალიფიკაცია
კაცები — 200 მ ბატერფლაი — ფინალი
კაცები — 4X200 მ თავისუფალი — ფინალი
კაცები — 100 მ თავისუფალი — ნახევარფინალი
კაცები — 200 მ ბრასი — ნახევარფინალი
კაცები — 200 მ გულაღმა — კვალიფიკაცია
კაცები — 200 მ კომბინირებული — კვალიფიკაცია

**წყალბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის II ტური

**ჩოგბურთი**

ქალები, პირადი — III წრე
ქალები, წყვილები — II წრე
კაცები, პირადი — III წრე
კაცები, პირადი — 1/4 ფინალი

**მაგიდის ჩოგბურთი**

ქალები, გუნდური — ჯგუფური ეტაპი
კაცები, გუნდური — ჯგუფური ეტაპი

**ძალოსნობა**

ქალები — 69 კგ — ფინალი
კაცები — 77 კგ — ფინალი

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

66 კგ — ფინალი
74 კგ — ფინალი

## ქვეყნები და მედლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 13 | 3 | 4 | 20 |
| აშშ | 7 | 6 | 8 | 21 |
| ს. კორეა | 5 | 6 | 1 | 12 |
| იტალია | 3 | 4 | 2 | 9 |
| ავსტრალია | 3 | 2 | 5 | 10 |
| იაპონია | 3 | 1 | 2 | 6 |
| გერმანია | 3 | 1 | 1 | 5 |
| რუსეთი | 2 | 4 | 3 | 9 |
| დიდი ბრიტანეთი | 2 | 1 | 2 | 5 |
| ჩეხეთი | 2 | — | — | 2 |
| ჩრდ. კორეა | 1 | 2 | 4 | 7 |
| აზერბაიჯანი | 1 | 2 | — | 3 |
| პოლანდია | 1 | 1 | 2 | 4 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | — | 2 |
| ფინეთი | 1 | — | 1 | 2 |
| ესპანეთი | 1 | — | 1 | 2 |
| რუმინეთი | 1 | — | 1 | 2 |
| ინდოეთი | 1 | — | — | 1 |
| ტაილანდი | 1 | — | — | 1 |
| საფრანგეთი | — | 7 | 2 | 9 |
| ზიმბაბვე | — | 2 | — | 2 |
| ავსტრია | — | 1 | 1 | 2 |
| კუბა | — | 1 | 1 | 2 |
| ყაზახეთი | — | 1 | 1 | 2 |
| კოლუმბია | — | 1 | — | 1 |
| უნგრეთი | — | 1 | — | 1 |
| ნორვეგია | — | 1 | — | 1 |
| შვედეთი | — | 1 | — | 1 |
| თურქეთი | — | 1 | — | 1 |
| ვიეტნამი | — | 1 | — | 1 |
| ბრაზილია | — | — | 3 | 3 |
| სომხეთი | — | — | 2 | 2 |
| ტაივანი | — | — | 2 | 2 |
| ინდონეზია | — | — | 2 | 2 |
| საქართველო | — | — | 1 | 1 |
| ალჟირი | — | — | 1 | 1 |
| არგენტინა | — | — | 1 | 1 |
| ბელარუსი | — | — | 1 | 1 |
| ხორვატია | — | — | 1 | 1 |
| ყირგიზეთი | — | — | 1 | 1 |
| შვეიცარია | — | — | 1 | 1 |
| ტაჯიკეთი | — | — | 1 | 1 |
| უზბეკეთი | — | — | 1 | 1 |
| მექსიკა | — | — | 1 | 1 |
| უკრაინა | — | — | 1 | 1 |
| ტოგო | — | — | 1 | 1 |



ტოგოელმა მენიჩბერე ბენჯამინ ბუკპეტიმ თავის ქვეყანას ისტორიაში პირველი ოლიმპიური მედალი მოუტანა



# ქვარცხლბეკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 აგვისტო

### სანიჩბოსნო სლალომი

კაცები. კანოე
1. მიხალ მარტიკანი (სლოვაკეთი) 176,65
2. დევიდ ფლორენსი (დიდი ბრიტანეთი) 178,61
3. რობინ ბელი (ავსტრალია) 180,59

კაცები. კაიაკი (ბაიდარა)
1. ალექსანდერ გრიმე (გერმანია) 171,70
2. ფაბიენ ლეფევრი (საფრანგეთი) 173,30
3. ბენჯამინ ბუკპეტი (ტოგო) 173,45

### ცურვა

ქალები. 100 მ გულაღმა
1. ნატალი კუგლინი (აშშ) 58,96
2. კირსტი კოვენტრი (ზიმბაბვე) 59,19
3. მარგარეტ ჰოტცერი (აშშ) 59,34

ქალები. 100 მ ბრასი
1. ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) 1.05,17
2. რებეკა სონი (აშშ) 1.06,73
3. მირნა ჯუკიჩი (ავსტრია) 1.07.34

კაცები. 100 მ გულაღმა
1. აარონ პირსოლი (აშშ) 52,54 (მსოფ. რეკორდი)
2. მეტ გრევერსი (აშშ) 53,11
3. ჰეიდენ სტოკელი (ავსტრალია) 53,18

კაცები. 200 მ თავისუფალი
1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 1.42,96 (მსოფ. რეკორდი)
2. ბიორნ ჰუ პარკი (სამხრ. კორეა) 1.44,85
3. პიტერ ვანდერკაი (აშშ) 1.45,14

### წყალში ხტომა

ქალები. წყვილები. 10-მეტრიანი კოშკი
1. რუცინ ჩენი, ქსინ ვანგი (ჩინეთი) 363,54
2. მელისა ვუ, ბრიონ კოული (ავსტრალია) 335,16
3. ტატიანა ორტისი, პაოლა ესპინოზა (მექსიკა) 330,06

### ძიუდო

ქალები. 63 კგ
1. აიუმი ტანიმოტო (იაპონია)
2. ლუსი დეკოსე (საფრანგეთი)
3. ელიზაბეტ უილებორდსე (ჰოლანდია)
3. ოკ იმ ვონი (ჩრდ. კორეა)

კაცები. 81 კგ
1. ოლე ბიშოფი (გერმანია)
2. ია ბუმ კიმი (სამხრ. კორეა)
3. რომან გონტიუკი (უკრაინა)
3. ტიაგო კამილო (ბრაზილია)

### სპორტული ტანვარჯიში

კაცები. გუნდური
1. ჩინეთი (ციბენ ჩენი, სიუ ქსიაო, ქსიაოპენ ლი, კაი ცოუ, ხუ ჰუანგი, ვეი იანგი) 286,125
2. იაპონია (ტაკაჰირო კაშიმა, კოკი საკამოტო, მაკოტო ოკიგუჩი, კოჰეი უჩიმურა, ტაკუია ნაკასე, ჰიროიუკი ტომიტა) 278,875
3. აშშ (ჯოი ჰაგერტი, კაი ვენ ტანი, რეი ბაჰნერი, ჯასტინ სპრინგი, ალექსანდერ არტემიოვი, ჯონათან ჰორტონი) 275,850

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

55 კგ
1. ნაზირ მანკიევი (რუსეთი)
2. როვშან ბაირამოვი (აზერბაიჯანი)
3. ეუნ ჩოი პარკი (სამხრ. კორეა)
3. როსან ამოიანი (სომხეთი)

60 კგ
1. ისლამ-ბეკა ალბიევი (რუსეთი)
2. ვიტალი რაჰიმოვი (აზერბაიჯანი)
3. ნურბაკიტ ტენგიზბაევი (ყაზახეთი)
3. რუსლან ტიუმენბაევი (ყირგიზეთი)

### სროლა

კაცები. ორმაგი ტრეპი (სასანგრე სტენდი)
1. გლენ ეილერი (აშშ) 190 (ოლიმპ. რეკორდი; 145+45)
2. ფრანჩესკო დიანიელო (იტალია) 187 (141+46)
3. ბინიუან ჰუ (ჩინეთი) 184 (138+46)

კაცები. სპორტული პისტოლეტი. 50 მ
1. იონგ ინი (სამხრ. კორეა) 660,4 (563+97,4)
2. იონგ სუ კიმი (ჩრდ. კორეა) 660,2 (563+97,2)
3. ცონგიან ტანი (ჩინეთი) 659,5 (565+94,5)

### ცხენოსნობა

კლასიკური სამჭიდი, პირადი
1. ჰაინრიხ რომეკე (გერმანია) 54,20
2. ინგრიდ კლიმკე (გერმანია) 54,70
3. მეგან ჯონსი (ავსტრალია) 55,00

კლასიკური სამჭიდი, გუნდური
1. გერმანია (პეტერ ტომსენი, ანდრეას დიბოვსკი, ჰაინრიხ რომეკე, ინგრიდ კლიმკე, ფრანკ ოსტჰოლტი) 166,10
2. ავსტრალია (შეინ როუზი, ლუსინდა ფრედერიკსი, კლეიტონ ფრედერიკსი, მეგან ჯონსი, სონია ჯონსონი) 171,20
3. დიდი ბრიტანეთი (შერონ ჰანტი, უილიამ ფოქს-პიტი, მერი კინგი, კრისტინა კუკი, დეიზი დიკი) 185,70

### ძალოსნობა

ქალები. 63 კგ
1. პიონ სულ პაკი (სამხრ. კორეა) 241 (106+135)
2. ირინა ნეკრასოვა (ყაზახეთი) 240 (110+130)
3. ინგ ჩი ლუ (ტაივანი) 231 (104+127)

კაცები. 69 კგ
1. ლიაო ჰუი (ჩინეთი) 348 (158+190)
2. ვენსელს დაბაია-ტიენტჩეუ (საფრანგეთი) 338 (151+187)
3. ტიგრან მარტიროსიანი (სომხეთი) 338 (153+185)

### ფარიკაობა

კაცები. ხმალი. პირადი
1. მენ ჟონგი (ჩინეთი)
2. ნიკოლას ლოპესი (საფრანგეთი)
3. მიხაილ კოვალეუ (რუმინეთი)

### კალათბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის II ტური

**A ჯგუფი**

ლიტვა = ირანი 99:67; ხორვატია = რუსეთი 85:78; არგენტინა = ავსტრალია 85:68

*ლიტვას, ხორვატიას 2-2 მოგება; არგენტინას, რუსეთს 1-1; ავსტრალიას, ირანს 0-0*

**B ჯგუფი**

აშშ = ანგოლა 97:76; ესპანეთი = ჩინეთი 85:75; საბერძნეთი = გერმანია 87:64

*აშშ, ესპანეთს 2-2 მოგება; საბერძნეთს, გერმანიას 1-1; ჩინეთს, ანგოლას 0-0*

### ხელბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის II ტური

**A ჯგუფი**

ხორვატია = ბრაზილია 33:14; საფრანგეთი = ჩინეთი 33:19; ესპანეთი = პოლონეთი 30:29

*ხორვატიას, საფრანგეთს 4-4 ქულა; ესპანეთს, პოლონეთს 2-2; ჩინეთს, ბრაზილიას 0-0*

**B ჯგუფი**

რუსეთი = ეგვიპტე 28:27; სამხრ. კორეა = დანია 31:30; ისლანდია = გერმანია 33:29

*ისლანდიას 4 ქულა; სამხრ. კორეას, გერმანიას, რუსეთს 2-2; დანიას, ეგვიპტეს 1-1*

### წყალბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის II ტური

**A ჯგუფი**

ჩერნოგორია = კანადა 12:0; ესპანეთი = ავსტრალია 9:8; უნგრეთი = საბერძნეთი 17:6

*ესპანეთს 4 ქულა; უნგრეთს, ჩერნოგორიას 3-3; ავსტრალიას 2; კანადას, საბერძნეთს 0-0*

**B ჯგუფი**

აშშ = იტალია 12:11; ხორვატია = სერბეთი 11:8; გერმანია = ჩინეთი 6:5

*აშშ, ხორვატიას 4-4 ქულა; სერბეთს, გერმანიას 2-2; იტალიას, ჩინეთს 0-0*

### ფრენბურთი

